ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი #47

8 სექტემბერი, 2020 წელი
15:00 საათი
(ჯანდაცვის კომისიის ოთახი)

ა/წ 8 სექტემბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.
სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. მიხეილ ამაშუკელი;
4. თამარ ტალიაშვილი;
5. ზაზა მამალაძე;
6. ვლადიმერ ძნელაძე.

მოწვეული სტუმრები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ვასილ აბულაძე;
- ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტოს დირექტორი - დავით დოლიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის ვასილ აბულაძის და ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტოს დირექტორის დავით დოლიძის ინფორმაცია „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ,

კერძოდ, ცვლილება გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

ა) „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81

დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორები სარგებლობენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას (ავტობუსები (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო)) უფასო მგზავრობის უფლებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 3 სექტემბერს წერილით (MIA 0 20 020771006) მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1 თებერვლის N9 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრული დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭიროა უბნის ინსპექტორების გარდა, უფასო მგზავრობის უფლება ჰქონდეთ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებს (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებსაც. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მოსამსახურეების ცალკეულ ნაწილს (დაახლოებით 30 მოსამსახურეს), თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება უმეტესად უწევთ მუნიციპალურ ტრანსპორტში. კერძოდ; მათი უშუალო ფუნქციაა საზოგადოებრივ ტრანსპორტში დანაშაულის/სამართალდარღვევის გამოვლენა-აღკვეთა. ზემოხსენებულიდან გამომდინარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნას წარმოადგენს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებს მიენიჭოთ ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას (ავტობუსები (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო)) მგზავრობისას შეღავათით სარგებლობის უფლება.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირმა „სოციალური მზრუნველობის სააგენტომ“ (ს/ნ 405382081) (შემდგომში - სააგენტო) 2020 წლის 3 სექტემბერს N79-01202473123 წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, სადაც აღნიშნულია, რომ სააგენტოს თანამშრომლებს (25 უფროსი სოციალური მუშაკი, 95 სოციალური მუშაკი და 5 ფსიქოლოგი), სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, დედაქალაქის მასშტაბით უწევთ ხშირი გადაადგილება საზოგადოებრივი ტრანსპორტით - ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტროთი).

პროექტის თანახმად, დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ყალიბდება ახალი რედაქციით და განისაზღვრება, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება მიეცემათ,

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორებს, ასევე ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებს (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებს.

ასევე, წარმოდგენილი ცვლილებით ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლებით სარგებლობის უფლება ექნებათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს" თანამშრომლებს.

პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილი ხდება, ზემოხსენებული კატეგორიებისათვის, განსაზღვროს სამგზავრო პლასტიკური ბარათებისა და თითოეული ბარათით მგზავრობის განხორციელების რაოდენობა.

ასევე ცვლილება შედის „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში.

ცვლილება გამოწვეულია „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების განხორციელებით, რომლის თანახმადაც თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება მიეცემათ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორებსა და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებს (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებს, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს" თანამშრომლებს.

აქედან გამომდინარე, დადგენილებაში შედის ცვლილება, რომლითაც მე-5 მუხლს ემატება „თ[1]" ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული

სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებით დადგენილი შესაბამისი კატეგორიების პირების მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს“ თანამშრომლებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულ(ებ)ისთვის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სუბიექტ(ებ)ისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფას მოახდენს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სოციალური მზრუნველობის სააგენტო“.

დადგენილებების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

დადგენილებების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარობაზე.

წარმოდგენილი ცვლილება დადებითად შეაფასა და დაეთანხმა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

წარმოდგენილი პროექტები განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე